ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3772888

ნომერი: AR1568299

თარიღი : 03.01.2018

გაცემის თარიღი : 10.01.2018

გაცნობის თარიღი : 21.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ორგანიზაცია:

- სს პროკრედიტბაკნი კოდი: 204851197

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

სამსახურის მიერ 2016 წლის 27 ივლისის №2737606 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი თანხმობა ორი I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობაზე, რომლის მოთხოვნის შინაარსის ტექსტში ასახული შინაარსის მიხედვით I ჯიხური განკუთვნილი იყო (მუშების) პერსონალისთვის, ხოლო II ჯიხური ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო მასალების და სხვადასხვა ტექნიკის დაცვისთვის მიზნით, რომლებიც ატვირთული საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით ღრუტანიან გადახურვის ფილაზე უნდა განთავსებულიყო.

დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათის მიხედვით ირკვევა რომ აშენებულია მხოლოდ ერთი შენობა და მისი ფუნქცია მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში ასახულია, რომ წარმოადგენს საოფისე დანიშნულების შენობას , ასევე არსებული ფოტოსურათის მიხედვით ირკვევა, რომ შენობა არ წარმოადგენს დროებითი სტატუსის (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის ტიპს (ვინაიდან საძირკვლის ფილით მყარად არის დაკავშირებული გრუნტთან და არა ისე, როგორც ასახული იყო №2737606 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ ფოტომონტაჟის მიხედვით), ზემოათნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არ მიაჩნია შესაძლებლად არსებული გრუნტთან მყარად დაკავშირებული შენობის რეკონსტრუქცია (მიშენებით და ასევე ფუნქციის ცვლილებით), შემდგომი განვითარება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.